186
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1988 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1988 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

95. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 ივლისის № 842 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

96. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის № 577 დადგენილების დამატების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

98. საქართველოს სსრ სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების გაერთიანებების) სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ

99. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 28 იანვრის № 23 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ოქტომბრის № 669 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

100. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ივლისის № 888 დადგენილების შესახებ

101. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უ. მ. ჯაფარიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

102. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობათა განსაზღვრის წესის დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 აპრილის № 171 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

103. გამოჩენილი ქართველი მკურნალისა და მოაზროვნის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

104. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 964 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ზოგიერთი პუნქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

105. საბაზრო ფონდის საქონლის წვრილბითუმად გაყიდვის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

106. საქართველოს სსრ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

107. დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

108. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აგვისტოს № 378, 1988 წლის 7 სექტემბრის № 413 და 416 დადგენილებების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

109. სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების მექანიზმის დასახვეწად ეკონომიკური ექსპერიმენტის მოწყობის შესახებ

110. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ა. ყანჩაველის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

111. ცხინვალის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებისათვის ბ. ა. გალაევის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18950

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

95 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 ივლისის № 842 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით და „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 ივლისის № 842 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შესატანი თანდართული ცვლილებანი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 ივლისის № 842 დადგენილებით:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 313 დადგენილებაში „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 ივლისის № 608 დადგენილებით:

მე-2 პუნქტის მეექვსე აბზაციდან ამოღებულია სიტყვები: „თითო მასობრივ პროფესიაში პირვანდელი კვალიფიკაციის მიღებისათვის“;

24-ე პუნქტი ძალადაკარგულად ჩაითვალა;

— მე-2 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილებისა „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომის ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 ივლისის № 610 დადგენილებით, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გადასინჯოს 1988—1989 წლებში მოსწავლეთა პოლიტექნიკური და შრომითი აღზრდის ორგანიზაცია საზოგადოებრივ-შრომითი ურთიერთობის სისტემაში მოსწავლეთა აქტიური ჩაბმის, მათთვის სხვადასხვაგვარი შრომითი ჩვევების ჩანერგვის გათვალისწინებით“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 20 სექტემბერი, № 451

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 20 სექტემბრის № 451 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 ივლისის № 842 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 9 ოქტომბრის № 716 დადგენილებაში „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ“:

— მე-3 პუნქტის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ გარდაქმნას არსებული საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები შესაბამისი პროფილის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად, რომელთაც ექნებათ სწავლების დიფერენცირებული ვადები პროფესიათა სირთულისა და მოსწავლეთა განათლების დონის მიხედვით. განავითაროს კვალიფიციურ მუშათა მომზადება უპირატესად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთაგან. შეინარჩუნოს ახალგაზრდობისათვის იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს პროფესიული მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში არასრული საშუალო სკოლის დამთავრების ან სხვადასხვა მიზეზით ამ სკოლიდან გასვლის შემდეგ. ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ჯეროვანი დონის უზრუნველმყოფი პირობებისა და სურვილის არსებობისას მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ პროფესიასთან ერთად ზოგადი საშუალო განათლებაც.

უნდა შეიქმნას, უწინარეს ყოვლისა, დიდ ქალაქებში, სპეციალიზებული სასწავლებლები რთულ და ინტეგრირებულ პროფესიებში კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად.

გაითვალისწინოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ფილიალების, საღამოს (ცვლის) განყოფილებების ორგანიზაცია, აგრეთვე მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების განხორციელება, მათ შორის კურსებზე, რომლებიც იქმნება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან თვითანაზღაურების პირობებით; ყოველმხრივ გააფართოოს გაერთიანებებთან და საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით მუშათა კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პრაქტიკა“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე-7 პუნქტის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ამ მიზნით“;

— ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-4 პუნქტი, მე-7 პუნქტის პირველი აბზაცი სიტყვებამდე: „ყოველნაირად განამტკიცონ“ და მე-15 პუნქტი;

2. „უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 2 სექტემბრის № 478 დადგენილების 23-ე პუნქტის აბზაცის „დაევალათ“ „ა“ ქვეპუნქტის მეოთხე და მეხუთე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შეადგინოს დადგენილი წესით გამსხვილებული მაჩვენებლების (სპეციალობათა ჯგუფების) მიხედვით სპეციალისტთა მომზადების ხუთწლიანი გეგმების პროექტები სამინისტროებთან და უწყებებთან დადებულ ხელშეკრულებათა გათვალისწინებით.

გაითვალისწინოს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან უმაღლესი სასწავლებლების პირდაპირ ხელშეკრულებათა საფუძველზე კურსდამთავრებულთა ნაწილის განაწილების შესაძლებლობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — გადავიდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვაზე გამსხვილებული მაჩვენებლების (სპეციალობათა ჯგუფების) მიხედვით. დაუგზავნოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ხუთწლიანი გეგმების პროექტების ფორმირებისათვის საწყისი მონაცემების სახით სპეციალისტთა მომზადების საკონტროლო ციფრები. სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად სრულყოს სპეციალისტთა მომზადების სტრუქტურა და მისი განლაგება ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად. შეიმუშაოს და დაუგზავნოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მათთვის უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებების კურსდამთავრებულთა განაწილების ხუთწლიანი (წლების მიხედვით დაყოფილი) ლიმიტები“.

96 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა ხელფასის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1988 წლის 7 ივნისის № 722 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-5 პუნქტის მეცხრე აბზაცი, 24-ე პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 20 სექტემბერი, № 452

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

97 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის № 577 დადგენილების დამატების შესახებ**

„ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის დაწესებული საბინაო შეღავათებისა და გარანტიების შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ნორმატიული აქტების შესაბამისობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 6 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის № 577 დადგენილებით დამტკიცებულ წესებს საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ, 36 პუნქტში შემდეგი შინაარსის მესამე აბზაცი:

„ახალგაზრდა სპეციალისტთა ცხოვრება საერთო საცხოვრებელში ან საერთო საცხოვრებლის გარეთ არ ზღუდავს მათს უფლებას მიიღონ ბინა შეღავათიანი წესით. ადგილი საერთო საცხოვრებელში არის საცხოვრებელი ფართობით ახალგაზრდა სპეციალისტის უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიება“.

2. დაეგზავნოს*) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 6 სექტემბრის დადგენილება „ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის დაწესებული საბინაო შეღავათებისა და გარანტიების შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ნორმატიული აქტების შესაბამისობის თაობაზე“ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

---

*) არ იბეჭდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 27 ოქტომბერი, № 494.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

98 საქართველოს სსრ სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების (გაერთიანებების) სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის, სამშენებლო წარმოების ინტენსიფიკაციის, მშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საინვესტიციო სფეროში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით და „სახალხო მეურნეობის დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 11 ივნისის № 665 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს განუხრელ სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 16 ნოემბრის № 1287 დადგენილება „სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების (გაერთიანებების) სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ“ (თან ერთვის).

2. გადაყვანილ იქნენ 1989 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საქართველოს სსრ სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები (გაერთიანებები), მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, დანართის თანახმად.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1988 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები (საქმთავარწყალმშენი, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო, ტრესტები „ამიერკავკასტრანსმშენი“ და „ხიდმშენი-12“, სამმართველო „კავგვირაბმშენი“ და სხვ.).

რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტები და მათთან გათანაბრებული სარემონტო-სამშენებლო, სამონტაჟო, გასამართავი და სხვა ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციები და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები სრულ სამეურნეო ანგარიშ-
სა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ იქნებიან იმ სამინისტროთა და უწყე-
ბათა გადაყვანისათვის დაწესებულ ვადებში, რომელთა შემადგენლობაშიც
შედიან ისინი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკის
სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური
განვითარების გეგმების შემუშავება მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის მაჩვე-
ნებლებიდან და ამ პერიოდისათვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივე-
ბიდან გამომდინარე, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ
კავშირის კანონის მოთხოვნების ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუგზავნოს რეს-
პუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ
მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დე-
პუტატთა საბჭოს აღმასკომს, ხოლო მათ, თავის მხრივ, — სრულ სამეურნეო
ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ სამშენებლო წარმოების ორ-
განიზაციებსა და საწარმოებს:

სახელმწიფო შეკვეთები;

სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-
სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები ახალი მშენებლობისათვის და
განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფო
გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების, ცენტრალიზებულად გასა-
ნაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნუსხის შესაბამისად მა-
თი ეკონომიის გათვალისწინებით.

ორგანიზაციებსა და საწარმოებს ამავე დროს ეცნობებათ საკონტროლო
ციფრების შემადგენლობაში გეგმის შემუშავების საწყისი მონაცემები: საიჯა-
რო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მომსახურების მოცულობანი ღი-
რებულებითი გამოხატულებით (გაანგარიშებით) ხელშეკრულებათა დასადე-
ბად; მოგება (შემოსავალი); შრომის ნაყოფიერების ზრდა; სოციალური სფე-
როს განვითარების მაჩვენებლები; ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფა ან
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლები,
რაც დამახასიათებელია სამშენებლო წარმოების სხვადასხვა ტიპისათვის.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს
სსრ სახმომარაგებამ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების
პირობებზე გადაყვანილ სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა მატე-
რიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისას გაითვალისწინონ სა-
ბითუმო ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობა.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კაპიტალურ მშენებლობაში მოგების
ნორმატიულ განაწილებაზე ან შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე და-
ფუძნებული სამეურნეო ანგარიშის ფორმის ფართოდ გამოყენების უზრუნ-
ველყოფა. უფლება მიეცეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადაწყვიტონ
სამეურნეო ანგარიშის ფორმის გამოყენების საკითხი შესაბამის სამინისტრო-
ებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმტკიცდეთ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

— საწარმოო ფონდების, შრომითი, ბუნებრივი რესურსების გადასახდელისა;

— გაანგარიშებული მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში;

— გაანგარიშებული მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა, აგრეთვე ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული ამორტიზაციის ანარიცხებისა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში და ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვებში;

— წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის შექმნისა;

— სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა;

— მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და ხელფასის ფონდის შექმნისა (საქმიანობის სახეობათა მიხედვით) ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას იყენებენ;

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის, პროდუქციისა და მომსახურების 1 მანეთზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ზღვრული დონისა (1989—1990 წლებისათვის);

— საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის თანაფარდობისა.

6. საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა მიხედვით განიხილოს და დაამტკიცოს ეკონომიკური ნორმატივები, ხოლო სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მათი დაგზავნა 1988 წლის 1 დეკემბრამდე ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც გადაყვანილ იქნებიან 1989 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნორმატივების სტაბილურობისა და დასაბუთებულობის უზრუნველყოფას, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ საწარმოო რესურსების გამოყენებისადმი თანაბარდაძაბული მოთხოვნების დაცვას.

7. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

— მიიღონ რადიკალური ზომები საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად. შეიმუშაონ და განახორციელონ მშენებლობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ორგანიზაციათა და საწარმოთა ზარალიანობის ლიკვიდაციას და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, იმ ვარაუდით, რომ 1990 წელს ძირითადად აღმოიფხვრას დარგის ზარალიანობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შექმნან შრომითს კოლექტივებთან შეთანხმებით ცალკეულ ნაწილად საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე საშენ ნაკეთობათა და კონსტრუქციათა წარმოების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების კოოპერატივები საარენდო იჯარისა და კოოპერაციის სხვა ფორმების პირობებით;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად განახორციელონ შრომითს კოლექტივებში დამატებითი მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად და ფასიანი მომსახურების გასაწევად წარმოების ნარჩენებისა და უვარგისი მასალების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 16 ნოემბრის № 1287 დადგენილებით:

— დაწესდა შემდეგი რიგითობა ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ მიღებული მოგების (შემოსავლის) განაწილებაში:

საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გადასახდელი;

პროცენტების გადახდა ბანკის მოკლევადიანი კრედიტისათვის;

ანარიცხები სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში;

ანარიცხები ზემდგომი ორგანიზაციისათვის წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების შესაქმნელად.

ზემოაღნიშნული გადასახდელებისა და ანარიცხების შეტანის შემდეგ ორგანიზაციისა და საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება (შემოსავალი) წარიმართება დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით:

წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში;

სოციალური განვითარების ფონდში;

მატერიალური წახალისების ფონდში (ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც იყენებენ მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას).

ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც იყენებენ შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას, შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი ყალიბდება როგორც კოლექტივის სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის ნაშთი მისგან წარმოების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის და სოციალური განვითარების ფონდის შექმნის შემდეგ;

— ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მშენებლობის საგეგმო ვადების უზრუნველყოფის გათვალისწინებით ხელშეკრულებათა მიხედვით საწარმოო სიმძლავრეების, ობიექტებისა და ნაგებობების, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების ამოქმედების ვალდებულებათა, პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების ვალდებულებათა შესრულება. ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა 100 პროცენტით შესრულებისას მატერიალური წახალისების ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდება 15 პროცენტით, სოლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას იყენებენ, შრომის ანაზღაურების ფონდი დიდდება 1,5 პროცენტით.

მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) გადიდება ხდება ორგანიზაციისა და საწარმოს სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის ან ზემდგომი ორგანიზაციის ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების ხარჯზე.

საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების გეგმით დაწესებული ვადების ჩაშლისას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება გადასახდელი აუმოქმედებელ საწარმოო ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების 3 პროცენტამდე ოდენობით. შემკვეთებს შესაბამისად გადახდებათ გადასახდელი აუმოქმედებელი ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 3 პროცენტამდე ოდენობით. ზემოაღნიშნული გადასახდელის ოდენობა დიფერენცირდება სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაყოვნების ვადების შესაბამისად: ერთ თვეზე მეტი ხნით ამოქმედების დაყოვნებისას გადახდებათ 1 პროცენტი, სამ თვეზე მეტი — 2 პროცენტი და ექვს თვეზე მეტი — 3 პროცენტი.

სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების გეგმების შეუსრულებლობით გამოწვეული საჯარო ორგანიზაციათა ხარჯები მიეკუთვნება მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. ზემოაღნიშნული გადასახდელის გადახდევინებასთან, აგრეთვე შემკვეთთა მიზეზით წარმოქმნილი მოჯარის დამატებითი დანახარჯების კომპენსაციასთან დაკავშირებული შემკვეთთა ხარჯები მიეკუთვნება მოქმედ საწარმოებში სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ხოლო ახალი მშენებლობისათვის გაწეულ იქნება ზემდგომი ორგანიზაციის ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების სახსრებიდან;

— გათვალისწინებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციები და საწარმოები დაარღვევენ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის, მზარდი შედეგით ხუთწლედის დამდეგიდან, რაც გამოანგარიშებულია ხუთწლედის წლების მიხედვით დაწესებული ამ მაჩვენებელთა ზრდის ნორმატიული თანაფარდობიდან გამომდინარე, მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) შესაბამისი ნაწილი რჩება რეზერვში ნორმატიული თანაფარდობის მიღწევისას გამოსაყენებლად ან გადაირიცხება სოციალური განვითარების ფონდში კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

9. საქართველოს სსრ სახმშენმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებმა (გაერთიანებებმა), რომლებიც გადაყვანილ იქნებიან, დანართის თანახმად, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, ორგანიზაცია გაუწიონ მუშაობას გაშლილი პროგრამების შესაბამისად მეურნეობის გაძღოლის ახალ ფორმებზე ორგანიზაციათა და საწარმოთა გადასაყვანად, შექმნან სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ყოველმხრივი გამოყენებისათვის საჭირო პირობები, რისთვისაც:

— უზრუნველყონ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ ორგანიზაციათა და საწარმოთა მზადყოფნა, მათთვის დასაგზავნი მაჩვენებლების, ნორმატივებისა და ლიმიტების ურთიერთდაკავშირება;

— კონტროლი გაუწიონ ორგანიზაციათა და საწარმოთა მომზადებას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ, განუწყვეტლივ აღმოუჩინონ მათ ყოველმხრივი დახმარება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში;

— უზრუნველყონ ორგანიზაციათა და საწარმოთა შრომითი კოლექტივებისა და სპეციალისტების აქტიური მონაწილეობა ამ მუშაობაში, ფართოდ გამოიყენონ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე საწარმოთა მოწინავე გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შინასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის განვითარებასა და გაღრმავებას, წარმართონ ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, რესპუბლიკის ყველა ბანკმა შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლებში.

11. სსრ კავშირის მრეწვმშენბანკის, სსრ კავშირის ბინსოცბანკისა და სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკებმა:

— არ მიიღონ დასაფინანსებლად ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ იქნებიან დაფინანსების რეალური წყაროებით;

— იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთს დროებით არ გააჩნია სახსრები, მისცენ მას კრედიტი საიჯარო ორგანიზაციებთან ანგარიშის გასასწორებლად;

— მოახდინონ დადგენილი წესით შემკვეთსა და მოიჯარეს შორის ურთიერთანგარიშსწორება გეგმიდან ამოღებულ და საკონსერვაციო ობიექტებზე შესრულებული სამუშაოებისათვის ერთი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, რაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება მშენებლობის შეწყვეტის ან გეგმიდან ამოღების შესახებ.

12. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით დებულებანი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ დარგობრივი სპეციფიკისა და ამ დადგენილების გათვალისწინებით.

13. დაეკისროთ მინისტრებს (უწყებათა ხელმძღვანელებს) პერსონალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასაყვანად მომზადებისა და გადაყვანის ორგანიზაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 1 სექტემბერი, № 406

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 1 სექტემბ[illegible]
დადგენილ[illegible]

ნუსხა

საქართველოს სსრ სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოებისა (გაერთიანებებისა), აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებებისა, რომელთა სამშენებლო ორგანიზაციები 1989 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილ იქნებიან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტი „ინჟმშენი“

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ინჟმშენი“

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო

საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის მოძრავი მექანიზებული კოლონა

სამშენებლო ტრესტები:

საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტისა

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსი

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსი

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსი

გაერთიანება „საქკურორტი“

საქართველოს სსრ სპორტსახკომისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა

საქართველოს სსრ გამსახკომისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვისა“

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისა

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირებისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

14950

საქ. სსრ ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 1287

1987 წლის 16 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების (გაერთიანებების) სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს სამშენებლო წარმოების ინტენსიფიკაციის, მშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სამშენებლო ორგანიზაციების გადაყვანის ღონისძიებათა კომპლექსი, შეიქმნას საინვესტიციო სფეროში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭირო პირობები.

მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობები ფართო შესაძლებლობებს სახავენ კაპიტალური მშენებლობის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოფენ საინვესტიციო პროცესის მართვის შემდგომ დემოკრატიზაციას, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურებას და ამის საფუძველზე — სახალხო მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის დაჩქარებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის უპირატესობათა სრული გამოყენებით აამაღლონ საინვესტიციო პროცესის ეფექტიანობა, შეამცირონ მისი ხანგრძლივობა, შექმნან ეკონომიკის დინამიკური განვითარებისა და საწარმოო სიმძლავრეების, ობიექტებისა და ნაგებობების, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფით მშენებლობის ყველა მონაწილის დაინტერესების გაძლიერებისათვის საიმედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობები. აამაღლონ მზა სამშენებლო პროდუქციის ხარისხი ადგილობრივ სამშენებლო წარმოება ახალ ინდუსტრიულ და ორგანიზაციულ დონეზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 11 ივნისის № 665 დადგენილების შესასრულებლად გადაიყვანონ 1988—1989 წლებში სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტები და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები, სარემონტო-სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები (გაერთიანებები)*), მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, უზრუნველყონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა ზუსტი შესაბამისობით მათი საქმიანობის პირობები. ამასთან გაითვალისწინონ, რომ:

სამშენებლო კომპლექსისა და სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ორგანიზაციები და საწარმოები გადაყვანილ იქნებიან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე დანართის თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

რესპუბლიკურ სამინისტროთა (უწყებათა), მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო (საქალაქო) საბჭოებთან არსებულ მშენებლობის მთავარ სამმართველოთა ორგანიზაციებსა და საწარმოებს გადაიყვანენ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიასთან შეთანხმებულ ვადებში;

სსრ კავშირის სხვა სამინისტროთა და უწყებათა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტები და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები, სარემონტო-სამშენებლო, სამონტაჟო და გასამართავი ორგანიზაციები და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები გადაყვანილ იქნებიან ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მუშაობის პირობებზე სახალხო მეურნეობის დარგების გაერთიანებებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და დაფინანსებაზე გადაყვანისათვის დაწესებულ ვადებში.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავება მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის მაჩვენებლებიდან და ამ პერიოდისათვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა ზუსტი შესაბამისობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუგზავნოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა — ორგანიზაციებსა და საწარმოებს:

---

*) შემდგომ ეწოდება „ორგანიზაციები და საწარმოები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო შეკვეთები;

სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები ახალი მშენებლობისათვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების, ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნუსხის შესაბამისად მათი ეკონომიის გათვალისწინებით.

ამავე დროს ეცნობებათ გეგმის შემუშავებისათვის შემდეგი საწყისი მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში:

საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მომსახურების მოცულობანი ღირებულებითი გამოხატულებით (გაანგარიშებით) ხელშეკრულებათა დასადებად;

მოგება (შემოსავალი);

შრომის ნაყოფიერების ზრდა;

სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები;

ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფა ან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებლები, რაც დამახასიათებელია სამშენებლო წარმოების სხვადასხვა ტიპისათვის.

3. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მეურნეობის გაძღოლის პირობებზე გადაყვანილ სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისას გაითვალისწინონ საბითუმო ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობა.

ამ მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეამცირონ ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების მოცულობა და ნომენკლატურა, ყოველწლიურად განსაზღვრონ მათი კონკრეტული სახეობანი, რაც საბითუმო ვაჭრობის პირობებით რეალიზაციას ექვემდებარება, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველსაყოფად საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა დამთავრდეს ძირითადად 1990 წელს.

4. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ორგანიზაციებსა და საწარმოებს ზემდგომი ორგანოს ნებართვით შეუძლიათ გამოიყენონ მოგების ან შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებული სამეურნეო ანგარიშის ფორმები.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს კაპიტალურ მშენებლობაში შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებული სამეურნეო ანგარიშის ფორმის

ფართოდ გამოყენება, რაც ყველაზე სრულად შეესაბამება მშენებლობის საბოლოო შედეგების მიღწევას — საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედებას უმცირესი დანახარჯებით.

სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ორგანიზატორული და ეკონომიკური მუშაობა სამეურნეო ანგარიშის ზემოაღნიშნულ ფორმაზე სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა თანამიმდევრულად გადასვლისათვის.

დაუმტკიცდეთ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

საწარმოო ფონდების, შრომითი, ბუნებრივი რესურსების გადასახდელისა;

გაანგარიშებული მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში;

გაანგარიშებული მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა, აგრეთვე ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული ამორტიზაციის ანარიცხებისა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში და ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვებში;

წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის შექმნისა;

სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა;

მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და ხელფასის ფონდის შექმნისა (საქმიანობის სახეობათა მიხედვით) ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას იყენებენ;

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის, პროდუქციისა და მომსახურების 1 მანეთზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ზღვრული დონისა (1988—1990 წლებისათვის);

საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის თანაფარდობისა.

ახალასამოქმედებელი საწარმოებისა და ობიექტების მუშაკთა ხელფასის ფონდი (შრომის ანაზღაურების ფონდი), აგრეთვე ზემოაღნიშნული საწარმოებისა და ობიექტებისათვის მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდები განისაზღვრება საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადების მიხედვით დაწესებული ნორმატივების თანახმად და გათვალისწინებულ იქნება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ზემდგომ ორგანიზაციებში შექმნილი რეზერვების ხარჯზე.

5. 1988 წლის 1 იანვრიდან მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადასაყვანი ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით ეკონომიკური ნორმატივების დროულად და ხარისხიანად განსაზღვრის მიზნით:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ 10 დღის ვადაში დაუგზავნონ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ძირითადი მაჩვენებლები, რაც საჭიროა 1988—1990 წლებში ეკონომიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმატივების შესამუშავებლად და ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის დასაწესებლად;

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაამტკიცონ და უზრუნველყონ ეკონომიკური ნორმატივების დაგზავნა 1987 წლის 1 დეკემბრამდე საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის.

ეკონომიკური ნორმატივების, როგორც მეურნეობის გაძღოლის სამეურნეოანგარიშიანი მექანიზმის საფუძვლის, დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით მინისტრთა და უწყებების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათი სტაბილურობისა და დასაბუთებულობის უზრუნველყოფას, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ საწარმოო რესურსების გამოყენებისადმი თანაბარდაძაბული მოთხოვნების დაცვას.

6. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშენებლობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში კონკრეტულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას, რომელთა მიზანია საწარმოებისა და ორგანიზაციების ზარალიანობის ლიკვიდაცია და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, იმ ვარაუდით, რომ 1990 წელს ძირითადად აღმოიფხვრას ზარალიანობა დარგში.

7. დაწესდეს შემდეგი რიგითობა ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ მიღებული მოგების (შემოსავლის) განაწილებაში:

საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გადასახდელი;

პროცენტების გადახდა ბანკის მოკლევადიანი კრედიტისათვის;

ანარიცხები სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში;

ანარიცხები ზემდგომი ორგანიზაციისათვის წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების შესაქმნელად.

ზემოაღნიშნული გადასახდელებისა და ანარიცხების შეტანის შემდეგ ორგანიზაციათა და საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგება (შემოსავალი) წარიმართება დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით:

წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში;

სოციალური განვითარების ფონდში;

მატერიალური წახალისების ფონდში (ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც იყენებენ მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას).

ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც იყენებენ შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას, შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი ყალიბდება როგორც კოლექტივის სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის ნაშთი მისგან წარმოების, მეცნიერებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკის განვითარების ფონდის და სოციალური განვითარების ფონდის შექმნის შემდეგ.

8. დაწესდეს, რომ ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი წარმოადგენს მშენებლობის საგეგმო ვადების უზრუნველყოფის გათვალისწინებით ხელშეკრულებათა მიხედვით საწარმოო სიმძლავრეების, ობიექტებისა და ნაგებობების, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების ამოქმედების ვალდებულებათა, პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების ვალდებულებათა შესრულება. ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა 100 პროცენტით შესრულებისას მატერიალური წახალისების ფონდი იზრდება 15 პროცენტით, ხოლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას იყენებენ, შრომის ანაზღაურების ფონდი დიდდება 1,5 პროცენტით.

მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) გადიდება ხდება ორგანიზაციათა და საწარმოთა სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლის ან ზემდგომი ორგანიზაციის ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების ხარჯზე.

საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების გეგმით დაწესებული ვადების ჩაშლისას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება გადასახდელი აუმოქმედებელ საწარმოო ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების 3 პროცენტამდე ოდენობით. შემკვეთებს შესაბამისად გადახდებათ გადასახდელი აუმოქმედებელი ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 3 პროცენტამდე ოდენობით. ზემოაღნიშნული გადასახდელის ოდენობა დიფერენცირდება სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაყოვნების ვადების შესაბამისად: ერთ თვეზე მეტი ხნით ამოქმედების დაყოვნებისას გადახდებათ 1 პროცენტი, სამ თვეზე მეტი — 2 პროცენტი და ექვს თვეზე მეტი — 3 პროცენტი.

სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების გეგმების შეუსრულებლობით გამოწვეული საიჯარო ორგანიზაციათა ხარჯები მიეკუთვნოს მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. ზემოაღნიშნული გადასახდელის გადახდევინებასთან, აგრეთვე შემკვეთთა მიზეზით წარმოქმნილი მოიჯარის დამატებითი დანახარჯების კომპენსაციასთან დაკავშირებული შემკვეთთა ხარჯები მიეკუთვნოს მოქმედ საწარმოებში სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ხოლო ახალი მშენებლობისათვის გაწეულ იქნეს ზემდგომი ორგანიზაციის ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების სახსრებიდან.

9. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამშენებლო და სპეციალიზებული სამშენებლო სამინისტროები, მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის სამინისტროები, ესტონეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ სახმშენები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოები ქმნიან მათ მიერ დაწესებული ნორმატივის მიხედვით მოგებისა და საწარმოთა და ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციათა ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდს, აგრეთვე რეზერვებს.

ზემოაღნიშნული ფონდებისა და რეზერვების სახსრები მოხმარდება კონკრეტულ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა, საერთო-დარგობრივი ხასიათის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, ბანკის სესხების დაფარვას და მათ გამო პროცენტების გადახდას, დაგეგმილ-ზარალიანი და ნაკლებრენტაბელური ორგანიზაციებისა და საწარმოების ზარალის ანაზღაურებას და სხვა დანახარჯების დაფინანსებას გეგმებში დაწესებული დოტაციების ლიმიტების მიხედვით მათი პროგრესული შემცირებით, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევას, ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებასა და სხვა მიზნებს.

10. გათვალისწინებულ იქნეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციები და საწარმოები დაარღვევენ თანაფარდობას საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის, მზარდი შედეგით ხუთწლედის დამდეგიდან, რაც გამოანგარიშებულია ხუთწლედის წლების მიხედვით დაწესებული ამ მაჩვენებელთა ზრდის ნორმატიული თანაფარდობიდან გამომდინარე, მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) შესაბამისი ნაწილი რჩება რეზერვში ნორმატიული თანაფარდობის მიღწევისას გამოსაყენებლად ან გადაირიცხება სოციალური განვითარების ფონდში კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

11. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით დებულებანი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ დარგობრივი სპეციფიკისა და ამ დადგენილების გათვალისწინებით.

12. კაპიტალურ მშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, საინვესტიციო პროცესის ყველა მონაწილის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით უზრუნველყოს მშენებლობაში ფასების ფორმირების მექანიზმის გარდაქმნა, ამასთან გამორიცხოს მასალატევადობის გაუმართლებელი გავლენა მზა სამშენებლო პროდუქციის ფასების დონეზე.

შექმნას მზა ობიექტებისა და სხვა საბოლოო სამშენებლო პროდუქციის სახელშეკრულებო სახარჯთაღრიცხვო ფასების ფართოდ გამოყენების პირობები სამშენებლო პროდუქციის ხარისხის შესაბამისად ამ ფასების დიფერენციაციის გათვალისწინებით.

13. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ორგანიზაცია გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიონ მუშაობას გაშლილი პროგრამების შესაბამისად მეურნეობის გაძლერის ახალ ფორმებზე ორგანიზაციათა და საწარმოთა გადასაყვანად, შექმნან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ყოველმხრივი გამოყენებისათვის საჭირო პირობები.

ამ მიზნით:

უზრუნველყონ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ ორგანიზაციათა და საწარმოთა მზადყოფნა, მათთვის დასაგზავნი მაჩვენებლების, ნორმატივებისა და ლიმიტების ურთიერთდაკავშირება;

კონტროლი გაუწიონ ორგანიზაციათა და საწარმოთა მომზადებას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ, განუწყვეტლივ აღმოუჩინონ მათ ყოველმხრივი დახმარება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

უზრუნველყონ ორგანიზაციათა და საწარმოთა შრომითი კოლექტივებისა და სპეციალისტების აქტიური მონაწილეობა ამ მუშაობაში, ფართოდ გამოიყენონ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე საწარმოთა მოწინავე გამოცდილება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შინასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის განვითარებასა და გაღრმავებას, წარმართონ ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო დაზუსტებანი სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლებში.

სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით მოამზადოს და წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

15. დაეკისროთ მინისტრებს (უწყებათა ხელმძღვანელებს) პერსონალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასაყვანად მომზადებისა და გადაყვანის ორგანიზაციისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 16 ნოემბრის № 1287
დადგენილების დანართი

ვ ა დ ე ბ ი

1988—1989 წლებში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სამშენებლო კომპლექსისა და სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ორგანიზაციათა და საწარმოთა ეტაპობრივი გადაყვანისა

I. 1988 წლის 1 იანვრიდან

სსრ კავშირის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრო

სსრ კავშირის ურალისა და დასავლეთ ციმბირის რაიონებში მშენებლობის სამინისტრო

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო (ცალკეული ორგანიზაციები და საწარმოები)

სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო (ცალკეული ორგანიზაციები და საწარმოები)

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო (ცალკეული ორგანიზაციები და საწარმოები)

II. 1989 წლის 1 იანვრიდან

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო (გადაყვანის დამთავრება)

სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო (გადაყვანის დამთავრება)

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო (გადაყვანის დამთავრება)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 28 იანვრის № 23 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ოქტომბრის № 669 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

მოსახლეობაში არსებული სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით და სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-10 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 28 იანვრის № 23 დადგენილებისა „საქართველოს სსრ 1988 წლის I კვარტალის კრებსითი საკასო გეგმის შესახებ“ და მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ოქტომბრის № 669 დადგენილებისა „მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ოპერაციებისადმი კონტროლის შემდგომი გაძლიერების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 15 სექტემბრის № 627 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“.

2. უფლება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადაწყვეტილებანი მათ ტერიტორიაზე განლაგებული და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების ფუნქციებით აღჭურვილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისაგან ზეგეგმითი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის შესახებ.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დაწყებამდე ერთი თვით ადრე აცნობონ ბანკის ადგილობრივ დაწესებულებებს მოსახლეობაში არსებული ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესახებ.

4. ფულის მიმოქცევის გაუარესების თავიდან ასაცილებლად დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს უზრუნველყონ მოსახლეობაში დამზადებული პროდუქტებისა და მათგან წარმოებული პროდუქციის მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა დადება სახალხო მოხმარების საქონლის წინმსწრები შეზიდვისა და რეალიზაციის პირობებით, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც წესი, არანაკლებ იმ თანხისა, რომელიც გადაუხადეს მოსახლეობას **დამზადებული ზეგეგმითი პროდუქციისათვის.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 13 სექტემბერი, № 430

100 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ივლისის № 888 დადგენილების შესახებ

„საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულების, სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების და საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებისას სახელშეკრულებო ურთიერთობის რეგულირების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ივლისის № 888 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ივლისის № 888 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილებისა „დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 ნოემბრის № 1392 განკარგულებით;

21-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 აპრილის № 247 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესების ზომებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 ივნისის № 314 დადგენილებით;

21-ე პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 7 ივლისის № 607 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 ნოემბრის № 711 დადგენილებით;

მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ივლისის № 842 დადგენილებისა „სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ნოემბრის № 755 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 13 სექტემბერი, № 432

101 სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უ. მ. ჯაფარიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსის, თბილისის საპატიო მოქალაქის უჩა (ილია) მალაქიას ძე ჯაფარიძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

— უ. მ. ჯაფარიძის ბინა-სახელოსნოს ბაზაზე (შ. მღვიმელის შესახვევი № 2 ა) გახსნას მისი სახლ-მუზეუმი სამინისტროს სისტემის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმის მიხედვით;

— თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტთათვის დააწესოს უ. მ. ჯაფარძის სახელობის ერთი სტიპენდია მისთვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში;

— მიაკუთვნოს უ. მ. ჯაფარიძის სახელი ქ. ონის ბავშვთა სამხატვრო სკოლას.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— უ. მ. ჯაფარიძის სახლ-მუზეუმის მოსაწყობად გადასცეს ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისში შ. მღვიმელის შესახვევის № 2 ა სახლში მდებარე უ. მ. ჯაფარიძის ბინა-სახელოსნო;

— კეთილმოაწყოს უ. მ. ჯაფარიძის საფლავი საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რისთვისაც დახარჯოს 2,5 ათასი მანეთი;

— მიაკუთვნოს უ. მ. ჯაფარიძის სახელი ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

3. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ მომზადებული მონოგრაფია უ. მ. ჯაფარიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 14 სექტემბერი, № 434

102 რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობათა განსაზღვრის წესის დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 აპრილის № 171 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობათა განსაზღვრის ნაწილში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებათა გაფართოების, აგრეთვე ცენტრალიზებული თბომომარაგების განვითარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 მაისის № 573 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება მიეცა განსაზღვროს სათბობის სახეობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობათა განსაზღვრის თანდართული წესი.

2. „თბოენერგეტიკული დანიშნულების ობიექტების დაპროექტება-მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხთა მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 აპრილის № 171 დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობები განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 სექტემბრის № 438 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 15 სექტემბერი, № 438

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 15 სექტემბრის № 438
დადგენილებით

წ ე ს ი

რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობათა განსაზღვრისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 ივლისის № 613 განკარგულების შესაბამისად სათბობის სახეობებს (სათბობ რეჟიმებს) რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მოქმედი, მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ **დასაბუთებული მასალების წარდგენის შემდეგ.**

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უფლება მიეცა:

ა) განსაზღვროს გადაზიდვის რაციონალური ზონების გათვალისწინებით სათბობის შემდეგი სახეობანი მისი მოხმარებისას ერთ საწარმოზე (გაერთიანებაზე) გაანგარიშებული ოდენობით:

— საკუთარი მოპოვების ქვანახშირი, ტორფი და ფიქალი, აგრეთვე საკუთარი დამზადების შეშა. მისი მოხმარების რაოდენობის მიუხედავად;

— სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოების (გაერთიანებების) მიერ მოპოვებული ქვანახშირი და ფიქალი პირობითი გაანგარიშებით 100 ათას ტონამდე წლიური ხარჯვისას (ამ სამინისტროს დასკვნის არსებობის კვალობაზე);

— საწვავი მაზუთი 3 ათას ტონამდე წლიური ხარჯვისას;

— ბუნებრივი გაზი, მისი მოხმარების რაოდენობის მიუხედავად, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით, გარდა გაზისა, რომელიც გათვალისწინებულია:

ელექტროსადგურებისათვის, ცემენტისა და მეტალურგიული ქარხნებისათვის, აგრეთვე საწარმოებისათვის (გაერთიანებებისათვის), რომლებიც გაზს იყენებენ არასათბობი საჭიროებისათვის;

საქვაბეებისათვის პირობითი გამოანგარიშებით მისი 500 ათას ტონაზე მეტი ოდენობით წლიური ხარჯვისას, აგრეთვე საქვაბეებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია მთლიანად ან ნაწილობრივ სათბურების გასათბობად.

შენიშვნა: სათბობის ყველა სახეობა მე-2 პუნქტში აღნიშნული რაოდენობის გადამეტებით მისი წლიური ხარჯვისას, აგრეთვე ბუნებრივი გაზი სათ-

მუნ. 102
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბობის სახით ელექტროსადგურების, ცემენტისა და მეტალურგიული ქარხნების, საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის, რომლებიც გაზს იყენებენ არასათბობი საჭიროებისათვის, და საქვაბეებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია მთლიანად ან ნაწილობრივ სათბურების გასათბობად, განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ;

ბ) ნება დართოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო საწარმოებს (გაერთიანებებს გამოიყენონ საწვავი მაზუთი სარეზერვო და საავარიო სახეობის სათბობად, აგრეთვე იმ სათბობმომხმარებელი დანადგარების კამერულ საცეცხლეებში ჩირაღდნის ასანთებად და შესანარჩუნებლად, რომლებისთვისაც სათბობის ძირითად სახეობებად განსაზღვრულია ქვანახშირი, ტორფი და ფიქალი;

გ) განსაზღვროს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმო-გაერთიანებებისათვის დიზელისა და ძრავის სათბობის ხარჯვა ერთ საწარმოზე (გაერთიანებაზე) გაანგარიშებით 250 ცხენისძალის საერთო სიმძლავრის სტაციონარული დიზელდანადგარებისათვის.

3. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოები და ორგანიზაციები წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სათბობის სახეობათა განსაზღვრის შესახებ შუამდგომლობასთან ერთად:

ა) მონაცემების ნუსხას თანდართული ფორმის მიხედვით;

ბ) სეზონურ გაანგარიშებას, როცა სათბობზე მოთხოვნილება 0,5 ათას ტონა პირობით სათბობს აღემატება;

გ) დოკუმენტებს თბომომარაგების წყაროების ტიპების (თბოელექტროცენტრალები ან საქვაბეები) განსაზღვრის შესახებ, რომლებისთვისაც საჭიროა დაწესდეს სათბობის სახეობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 აპრილის № 171 დადგენილებით განსაზღვრული წესით დამტკიცებული თბომომარაგების სქემების შესაბამისად;

დ) საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტთან წყლის მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის საკითხის შეთანხმებას;

ე) სათბობის რეკომენდებული სახეობის გაცემის შესაძლებლობის დამადასტურებელ დასკვნებს, რომლებსაც გასცემენ:

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო, როცა ქვანახშირისა და ფიქლის ხარჯვა შეადგენს 100 ათას ტონამდე პირობით სათბობს წელიწადში;

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო, როცა გაზის ხარჯვა შეადგენს 50 ათას ტონაზე მეტ პირობით სათბობს წელიწადში;

საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი", როცა გაზის ხარჯვა შეადგენს 50 ათას ტონამდე პირობით სათბობს წელიწადში;

ვ) საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს საპროექტო-საწარმოო გაერთიანება „სპეცჰელიოთბომონტაჟის“ დასკვნას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ჰელიოკოლექტორების ერთობლივი გამოყენება თბოდანადგარებთან კომბინაციით.

ზემოაღნიშნული მასალების გარეშე წარდგენილი შუამდგომლობანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განსახილველად არ მიიღება და დაუბრუნდება ადრესატს.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარდგენილ შუამდგომლობებს სათბობის სახეობების (სათბობი რეჟიმების) განსაზღვრის ან შეცვლის შესახებ მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციითურთ განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამისი განყოფილება საჭირო შემთხვევებში ტერიტორიული დაგეგმვისა და საწარმოო ძალთა განლაგების განყოფილების და სხვა განყოფილებების მონაწილეობით.

განხილვის შედეგების მიხედვით ზემოაღნიშნული განყოფილება მოამზადებს წინადადებებს, რომლებიც წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანლობას.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სათბობის შესაბამის სახეობათა განსაზღვრის თაობაზე თავის გადაწყვეტილებათა შესახებ ატყობინებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს (როცა სათბობად განისაზღვრება ქვანახშირი ან ფიქალი) და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს (როცა სათბობად განისაზღვრება ბუნებრივი გაზი).

6. სათბობის სახეობების (სათბობი რეჟიმების) განსაზღვრის ამსახველი დოკუმენტების აღრიცხვასა და შენახვას, განსაზღვრული სათბობი რეჟიმების მონაცემების ბანკის სისტემატურ შევსებას ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენების ბაზაზე, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რაიონებისათვის, საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული სათბობის სახეობების მიხედვით სათბობი რეჟიმების მონაცემების სისტემატურ ანალიზსა და განზოგადებას ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი.

ერთეული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 15 სექტემბრის № 438
დადგენილებით დამტკიცებული სათბობის სახეობათა განსაზღვრის წესის
დანართი

ნუსხა

მონაცემებისა, რომლებიც უნდა იქნეს წარდგენილი საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სათბობმომხმარებელი დანადგარებისათვის სათბობის სახეობის განსაზღვრის შესახებ შუამდგომლობებთან ერთად

1. ზოგადი საკითხები

სამინისტრო (უწყება)
საწარმო და მისი ადგილსამყოფელი
(რესპუბლიკა, ოლქი, დასახლებული პუნქტი)
ობიექტის მანძილი:
- რკინიგზის სადგურამდე
- გაზსადენამდე (დასახელება)
- ნავთობპროდუქტების ბაზამდე
- თბომომარაგების უახლოეს წყარომდე
- (თბოელექტროცენტრალი, საქვაბე) მისი სიმძლავრის, დატვირთვისა და კუთვნილების აღნიშვნით

საწარმოს მზადყოფნა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოსაყენებლად (მოქმედი, სარეკონსტრუქციო, მშენებარე, საპროექტო)
მისი კატეგორიის აღნიშვნით
შეთანხმების დოკუმენტები (თარიღი, ნომერი, ორგანიზაციის დასახელება):
- ბუნებრივი გაზის, ქვანახშირის გამოყენების საკითხისა
- თხევადი სათბობის ტრანსპორტირების საკითხისა
- ინდივიდუალური საქვაბის (თბოელექტროცენტრალის) მშენებლობისა ან მოქმედის გაფართოებისა

რა დოკუმენტის საფუძველზე მიმდინარეობს საწარმოს დაპროექტება, მშენებლობა, გაფართოება, რეკონსტრუქცია
ამჟამად გამოყენებული სათბობის სახეობა და რაოდენობა (ათასი ტონა პირობითი სათბობი) და რა დოკუმენტის საფუძველზე (თარიღი, ნომერი, განსაზღვრული ხარჯვა); მყარი სათბობისათვის აღინიშნოს მისი საბადო, ხოლო დონეცის ქვანახშირისათვის — მისი მარკა
მოთხოვნილი სათბობის სახეობა, საერთო წლიური ხარჯვა (ათასი ტონა პირობითი სათბობი და მოხმარების დაწყების წელი)
საპროექტო სიმძლავრეზე საწარმოს გადასვლის წელი, სათბობის საერთო წლიური ხარჯვა (ათასი ტონა პირობითი სათბობი) მიმდინარე წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქვაბე დანადგარები და თბოელექტროცენტრალები

ა) მოთხოვნილება თბოენერგიაზე

რა საჭიროებისათვის	მიერთებული მაქსიმალური სითბური დატვირთვა (გიგაკალორია საათში)		საანგარიშო საათების რაოდენობა წელიწადში	წლიური მოთხოვნილება სითბობზე (ათასი გიგაკალორია)		სითბობზე მოთხოვნილების დაფარვა (ათასი გიგაკალორია წელიწადში)		
	არსებული	პროექტი (არსებულის ჩათვლით)		არსებული	პროექტი (არსებულის ჩათვლით)	საქვაბეების (თბოელექტროცენტრალების) ხარჯზე	მეორეული ენერგორესურსების ხარჯზე	სხვა წყაროების ხარჯზე
გათბობა								
ვენტილაცია								
ცხელი წყალმომარაგება								
ტექნოლოგიური საჭიროებანი								
საქვაბის (თბოელექტროცენტრალის) საკუთარი საჭიროებანი								
დანაკარგები თბოქსელებში								
სულ								

შენიშვნები: 1. მე-4 გრაფაში აღინიშნოს ფრჩხილებში ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის საათების რაოდენობა წელიწადში მაქსიმალური დატვირთვის დროს.
2. მე-5 და მე-6 გრაფებში აისახოს გარეშე მომხმარებელთათვის გაცემული სითბოს რაოდენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქვაბეთა მოწყობილობის შემადგენლობა და დახასიათება, სათბობის სახეობა და წლიური ხარჯვა.

ქვაბების ტიპი (ჯგუფების მიხედვით)	რაოდენობა	საერთო სიმძლავრე (გიგაკალორია საათში)	გამოყენებული სათბობი				მოთხოვნილი სათბობი		
			ძირითადის (სარეზერვოს) სახეობა	ხვედრითი ხარჯვა კილოგრამში პირობითი სათბობი გიგაკალორია		წლიური ხარჯვა (ათასი ტონა პირობითი სათბობი)	ძირითადის (სარეზერვოს) სახეობა	ხვედრითი ხარჯვა კილოგრამში პირობითი სათბობი გიგაკალორია	წლიური ხარჯვა, რომელი წლიდან (ათასი ტონა პირობითი სათბობი)
მოქმედი									
აქედან:									
დემონტირებადი									
დასადგმელი									
სარეზერვო									

შენიშვნები: 1. აღინიშნოს სათბობის საერთო წლიური ხარჯვა ქვაბების ჯგუფების მიხედვით.
2. აღინიშნოს სათბობის ხვედრითი ხარჯვა საქვაბის (თბოელექტროცენტრალის) საკუთარ საჭიროებათა გათვალისწინებით.
3. მე-4 და მე-7 გრაფებში აღინიშნოს სათბობის წვის წესი (შრისებრი, კამერული, მდუღარე შრეში).
4. თბოელექტროცენტრალისათვის აღინიშნოს ტურბოაგრეგატების ტიპი და მარკა, მათი ელექტროსიმძლავრე (ათასი კილოვატი), ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება და გაცემა (ათასი კილოვატსაათი), სათბოს წლიური გაცემა (გიგაკალორია), სათბობის ხვედრითი ხარჯვა ელექტროენერგიის (გრამი/კილოვატსაათი) და სითბოს (კილოგრამი/გიგაკალორია) გასაცემად, სათბობის წლიური ხარჯვა ელექტროენერგიისა და სითბოს საწარმოებლად (ათასი ტონა პირობითი სათბობი) მთლიანად თბოელექტროცენტრალის მიხედვით.
5. წელიწადში 100 ათას ტონაზე მეტი პირობითი სათბობის ხარჯვისას წარდგენილი უნდა იქნეს საწარმოს (გაერთიანების) სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სითბოს მომხმარებლები

სითბოს მომხმარებელთა დასახელება	მაქსიმალური სითბური დატვირთვა (გიგაკალორია საათში)			ტექნოლოგია	სულ
	გათბობა	ვენტილაცია	ცხელი წყალ-მომარაგება		

4. მოთხოვნილება სათბობზე საწარმოო საჭიროებისათვის

სითბოს მომხმარებელთა დასახელება	პროდუქციის დასახელება	პროდუქციის წლიური რაოდენობა	სითბოს ხვედრითი ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე (გიგაკალორია)	სითბოს წლიური მოხმარება (ათასი გიგაკალორია)

5. ტექნოლოგიური სათბობმომხმარებელი დანადგარები

ა) საწარმოს სიმძლავრე პროდუქციის ძირითად სახეობათა გამოსაშვებად

პროდუქციის სახეობა	წლიური გამოშვება (აღინიშნოს ზომის ერთეული)		სათბობის ხვედრითი ხარჯვა (კილოგრამი პირობითი სათბობი პროდუქციის ერთეული)	
	არსებული	საპროექტო	ფაქტიური	საანგარიშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ტექნოლოგიური მოწყობილობის შემადგენლობა და დახასიათება, სათბობის სახეობა და წლიური ხარჯვა.

ტექნოლოგიური მოწყობილობის ტიპი	რაოდენობა	სიმძლავრე (ერთეული)	გამოყენებული სათბობი		მოთხოვნილი სათბობი	
			სახეობა	წლიური ხარჯვა ანგარიშის მიხედვით (ათასი ტონა პირობითი სათბობი)	სახეობა	წლიური ხარჯვა ანგარიშის მიხედვით, რომელი წლიდან (ათასი ტონა პირობითი სათბობი)

სულ

შენიშვნა: მოთხოვნილი სათბობის გარდა აღინიშნოს სათბობის სხვა სახეობები, რომლებითაც შეუძლიათ მუშაობა ტექნოლოგიურ დანადგარებს.

6. სათბობისა და სითბოს მეორეული რესურსების გამოყენება

სათბობის მეორეული რესურსები				სითბოს მეორეული რესურსები			
სახეობა, წყარო	გამოსავლიანობა (ათასი ტონა პირობითი სათბობი წელიწადში)	გამოყენებული სათბობის რაოდენობა (ათასი ტონა პირობითი სათბობი)		სახეობა, წყარო	გამოსავლიანობა (ათასი გიგაკალორია წელიწადში)	გამოყენებული სითბოს რაოდენობა (ათასი გიგაკალორია წელიწადში)	
		არსებული	საპროექტო			არსებული	საპროექტო

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

103 გამოჩენილი ქართველი მკურნალისა და მოაზროვნის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ქართველი მკურნალისა და მოაზროვნის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თხოვნა და დაწესდეს ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობის სამი პრემია (თითოეული 1000 მანეთის ოდენობით) საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის მედიცინის დარგში, აგრეთვე იმ სამკურნალო, პროფილაქტიკურ, მედიკურ-სოციალურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა შედეგად მიღწეულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მკვეთრი და საფუძვლიანი გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 27 სექტემბერი, № 450

104 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 964 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ზოგიერთი პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სავალუტო ანარიცხების საკითხებსა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთ სხვა საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 964 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „საქართველოს სს რესპუბლიკაში საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოს 1967 წლის 25 ივლისის № 490 დადგენილების მე-2 პუნქტის მეცხრე აბზაცი;

— „საქართველოს სს რესპუბლიკაში საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 ივლისის № 490 დადგენილების მე-2 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი;

— „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების საწარმოო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 1 დეკემბრის № 746 დადგენილების მე-15 პუნქტის მეოთხე და მეხუთე აბზაცები.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 964 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 მაისის № 320 დადგენილებით დაგზავნილ „რესპუბლიკური უწყება-სამინისტროებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებში ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენებისაგან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 იანვრის № 61 დადგენილების მე-10 პუნქტი.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 იანვრის № 17 დადგენილებით დაგზავნილ „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწაოების შემდგომი განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 სექტემბრის № 856 დადგენილების მე-13 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 12 ოქტომბერი, № 470

105 საბაზრო ფონდის საქონლის წვრილბითუმად გაყიდვის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბაზრო ფონდის საქონლის წვრილბითუმად გაყიდვის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 958 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 958 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

„საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 იმ დადგენილების 27-ე პუნქტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 19 სექტემბრის № 1154 განკარგულებით დაიგზავნა;

„უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 იმ დადგენილების მე-10 პუნქტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 21 აპრილის № 482 განკარგულებით დაიგზავნა;

„გეოლოგიურ-საზვერ სამუშაოთა ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 ივლისის № 763 იმ დადგენილების მე-7 პუნქტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 აგვისტოს № 1153 განკარგულებით დაიგზავნა;

„საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების მოქმედების პირის მიმღებ საწარმოთა ხელმძღვანელებზე გავრცელების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 790 დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 იმ დადგენილების 27-ე პუნქტით გათვალისწინებული უფლების ნაწილში, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 9 აგვისტოს № 1132 განკარგულებით დაიგზავნა;

„მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 39 იმ დადგენილების მე-12 პუნქტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 146 დადგენილებით დაიგზავნა;

„მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აგვისტოს № 707 იმ დადგენილების მე-11 პუნქტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილებით დაიგზავნა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 12 ოქტომბერი, № 471

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 471 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 27 თებერვლის № 144 დადგენილება „სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სამრეწველო საქონლისა და მასალების ნაღდ ფულად შესყიდვის წესის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 მარტის № 234 დადგენილება „საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების მიერ არასამარცვლე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 30 სექტემბრის № 1132 დადგენილება „მოზრდილ და მცირეწლოვან ინვალიდთა სახლებისა და სამამულო ომის ინვალიდთა ინტერნატების მიერ არასამარცვლე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის შესახებ“.

4. „სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიერ 1950 წლის მეორე კვარტალის საკასო და საკრედიტო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 აპრილის № 485 დადგენილების მე-3 პუნქტი.

5. „სოფლად საშენი მასალებით ვაჭრობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 მაისის № 671 დადგენილების მე-6 პუნქტი და მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

6. „სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 აპრილის № 179 დადგენილების მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

7. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მომარაგების გაუმჯობესებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 12 იანვრის № 7 დადგენილების მე-3 პუნქტი.

8. „შეკერილი ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 ოქტომბრის № 687 დადგენილების მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

9. „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 ივნისის № 392 დადგენილების მე-4 და მე-10 პუნქტები.

10. „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 181 დადგენილების მე-5 პუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. „სახალხო სამხატვრო სარეწაოების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ოქტომბრის № 533 დადგენილების მე-10 პუნქტის მეთექვსმეტე აბზაცი.

12. „სასამართლოების, პროკურატურის ორგანოებისა და სანოტარო კანტორების მუშაობის პირობებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ოქტომბრის № 586 დადგენილების მე-9 პუნქტი.

13. „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის პირველი, მეორე და მესამე აბზაცები.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 6 ივნისის № 316 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 ივნისის № 392 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

15. „გაერთიანებული, რაიონული და საქალაქო გაზეთების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 11 დეკემბრის № 816 დადგენილების მე-5 პუნქტის მეექვსე აბზაცი.

16. „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში 1986 წლიდან ეკონომიკური ექსპერიმენტის მოწყობასთან დაკავშირებით სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 მაისის № 370 დადგენილების მე-4 პუნქტი.

17. „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მარტის № 139 დადგენილების მე-3 პუნქტი იმ ნაწილში, რომელიც ეხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 მაისის № 370 დადგენილების მე-4 პუნქტის მოქმედების გავრცელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 საქართველოს სსრ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების-ს უმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქონელზე მოსახლეობის მრავალფეროვან და სწრაფადმზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებას. ამავე დროს, ვაჭრობის განვითარებისათვის მიღებული ზომების მიუხედავად, რესპუბლიკის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში ძირეული ცვლილებები არ ხდება.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროები და უწყებები ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ ვაჭრობის როლსა და მნიშვნელობას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. უზრუნველყოფილი არაა საქონლის რესურსების რაციონალური, ეკონომიკურად დასაბუთებული განაწილება ქვეყნის რეგიონების მიხედვით, ქალაქსა და სოფელს შორის. ადგილებზე ხშირია საკმარისად არსებული საქონლის გაყიდვის შეფერხებათა ფაქტები. მოსახლეობა ზედმეტ დროს ხარჯავს საქონლის საყიდლად რიგში დგომით. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმოს მუშაობის რეჟიმი მოუხერხებელია მყიდველთათვის. არ აღმოფხვრილა უყაირათობის, ბოროტმოქმედების, მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცების, ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები, დაბალია მომსახურების კულტურა. ყოველივე ეს მშრომელთა სამართლიან საჩივრებს იწვევს.

ვაჭრობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის სერიოზული მიზეზია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ჩამორჩენა. ნელა იზრდება თანამედროვე მაღაზიების, მათ შორის საფირმო მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების ქსელი.

სუსტად ვითარდება საქონლის გაყიდვის პროგრესული ფორმები. თვითმომსახურების მეთოდის დანერგვა ფერხდება დაფასოებული სახით საქონლის შეზღუდული შემოსვლის გამო, რაც იწვევს ვაჭრობის მუშაკთა დასაქმებას საქონლის დასაფასოებლად მაღაზიებში.

დარგში ღაბალია შრომის მექანიზაციის დონე, ნაკლები ყურადღება ეთმობა მყიდველთა მოთხოვნილების შესწავლასა და პროგნოზირებას.

ნელა ინერგება ახალი სამეურნეო მექანიზმი, შინასამეურნეო ანგარიში, სავაჭრო საწარმოთა საქმიანობა კვლავ ზედმეტად რეგლამენტირებულია.

გარდაქმნის ამოცანებს არ შეესაბამება კადრებთან მუშაობის დონე. უშვებენ ვაჭრობის მუშაკთა შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპების დარღვევას.

ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და XIX საკავშირო პარტიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციის მითითებებით მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების [illegible]ული გაუმჯობესებისათვის გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობის თაობაზე და „მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 აგვისტოს № 971 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ქალაქებში და სოფლად ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქმიანობის გარდაქმნისათვის, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მათ მუშაობაში. უზრუნველყონ უკვე უახლოეს ხანში რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, საქონელსა და მომსახურებაზე მისი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილება.

ამ მიზნით:

— დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი სავაჭრო საწარმოთა მუშაობაში, მიაღწიონ რიგების აღმოფხვრას, ვაჭრობის წესების განუხრელ დაცვას, გააუმჯობესონ მოსახლეობის მომარაგება საკმარისი ოდენობით არსებული საქონლით;

— შეურიგებლად ებრძოლონ ყოველგვარ უყაირათობას, სოციალისტური საკუთრების დატაცებას, ბოლო მოუღონ დარღვევებსა და ბოროტმოქმედებას დეფიციტური საქონლის რეალიზაციაში. ეააკისრონ ამისათვის დამნაშავე პირებს დადგენილი წესით მკაცრი პასუხისმგებლობა. აღკვეთონ მყიდველთა მიმართ უხეში, უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები;

— დაამთავრონ მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე მაღაზიების გადაყვანა თვითმომსახურების მეთოდით მუშაობასა და საქონლის გაყიდვის სხვა პროგრესულ ფორმებზე;

— უზრუნველყონ მაღაზიების, სასადილოებისა და ვაჭრობის სხვა ობიექტების რაციონალური განლაგება, დააწესონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის რეჟიმი მოსახლეობის სურვილისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. იქ, სადაც საჭიროა, დაიწყონ მუშაობა 6-7 საათიდან და დაამთავრონ 21-23 საათზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მუშაობის საათების გაგრძელება სავაჭრო ფართობის გადიდებას უტოლდება. დანერგონ საწარმოთა მუშაობის 1,5-2-ცვლიანი რეჟიმი სასადილო შესვენებისას დაუკეტავად, ხოლო უნივერსალურ და დიდ სასურსათო მაღაზიებში მოაწყონ სპეციალური განყოფილებები, რომლებიც იმუშავებენ უფრო ადრე და გვიან დროს საწარმოს მუშაობის ძირითად რეჟიმთან შედარებით. ყველგან შექმნან მორიგე მაღაზიების ქსელი. აღმოფხვრან სამუშაო საათებში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად და საქონლის მისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებად მაღაზიების დაკეტვის ფაქტები. ორგანიზაცია გაუწიონ სტრეკლამო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახურების მუშაობას;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რათა მაქსიმალურად გაათავისუფლონ 1988—1989 წლებში ამჟამად სხვადასხვა კანტორისა და დაწესებულების მიერ დაკავებულ შენობათა პირველი სართულები სპეციალიზებული მაღაზიების, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოსაწყობად, განსაკუთრებით ქალაქების ცენტრალურ ნაწილებში, ამასთან მიიჩნიონ ეს არა მარტო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დამატებით წყაროდ, არამედ აგრეთვე ქალაქების ცენტრებისათვის უფრო მიმზიდველი იერსახის მიცემის საშუალებად;

— დაამთავრონ 1990 წლისათვის მუშაობა საცალო სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციის ხაზით, ამასთან უზრუნველყონ უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიების, უნივერმაღების უპირატესი განვითარება და რთული ასორტიმენტის საქონლის გაყიდვის კონცენტრაცია დიდ სპეციალიზებულ მაღაზიებში;

— განიხილონ ქვეყანაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით თბილისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში საცალფეხო სავაჭრო ქუჩების ორგანიზაციის საკითხი იქ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სხვადასხვაგვარ საწარმოთა განსალაგებლად;

— აქტიურად განავითარონ წვრილსაცალო სავაჭრო ქსელი მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში, საავტომობილო ტრასებზე, ვაგზლებში, თვითმფრინავებში, მატარებლებში, სასტუმროებში, სანახაობით საწარმოებსა და მოსახლეობის მასობრივი თავმოყრის სხვა ადგილებში;

— განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი კოოპერატივების შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში, აგრეთვე ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შორის საშუამავლო ოპერაციების შესრულებაში მათი როლის ამაღლებისათვის;

— ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის გაყიდვა, იმ ვარაუდით, რომ მიიზიდონ ამისათვის სახელშეკრულებო საფუძველზე კოოპერატივები, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები, სტუდენტები და ახალგაზრდობა მუშაობის ან სწავლისაგან თავისუფალ დროს, აგრეთვე დიასახლისები და პენსიონერები საოჯახო დუქნების მეშვეობით;

— მიიღონ გადამწყვეტი ზომები კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, მაღალი ზნეობრივი, საქმიანი და მორალურ-ეთიკური თვისებების მქონე მუშაკთა შესარჩევად, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო მომსახურების სფეროში. განამტკიცონ მუშაობის წამყვანი უბნები, ხელმძღვანელი თანამდებობები ფართო ეკონომიკური ცოდნით აღჭურვილი კარგად მომზადებული, ინიციატივიანი და ენერგიული სპეციალისტებით, რომლებიც მზად არიან იკისრონ პასუხისმგებლობა ახალი ამოცანების გადასაწყვეტად, შესწევთ უნარი უზრუნველყონ ვაჭრობის ორგანიზაციის მაღალი დონე. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკები დააწინაურონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიულ საფუძველზე, ფართო საჯაროობისა და საკონკურსო-არჩევითობის ვითარებაში;

— დააჩქარონ კადრების უწყვეტი მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნების გათვალისწინებით. განამტკიცონ სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღჭურვონ ისინი თანამედროვე მოწყობილობით, გამოთვლითი ტექნიკით, კომპიუტერებით;

— მნიშვნელოვნად აამაღლონ კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობის დონე. ჩაუნერგონ ვაჭრობის მუშაკებს მაღალი მორალური თვისებები, მინდობილი საქმისათვის პროფესიული პასუხისმგებლობისა და სიამაყის გრძნობა. მოსთხოვონ მკაცრად დაიცვან სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. უფრო სრულად გამოიყენონ ამ მიზნით შრომითი კოლექტივებისა და მათი საბჭოების უფლებანი და შესაძლებლობანი, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები. მიიღონ ქმედითი ზომები ვაჭრობაში მასობრივი პროფესიების მუშაკთა, სპეციალისტთა და ახალგაზრდობის დასამკვიდრებლად, მათთვის ჯეროვანი საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

2. რჩევა მიეცეს ცეკავშირის გამგეობას:

— დააჩქაროს მუშაობა რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში სავაჭრო მომსახურების კომპლექსური სისტემის შესაქმნელად, რაც ყველა დასახლებულ პუნქტს მოიცავს. კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად გადაწყვიტოს მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების საჭირო ქსელის შექმნის ამოცანა. აქტიურად გამოიყენოს მოძრავი ვაჭრობა, მაღაზიები ბინაზე, იჯარის სხვადასხვა ფორმა;

— მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობათა მომსახურებისათვის შექმნას მათ ტერიტორიაზე სამომხმარებლო კოოპერაციის კომპლექსური საწარმოები, სადაც სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის მიღებასთან ერთად გაიყიდება ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მოწყობილობა. ფართოდ განავითაროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისათვის სავაჭრო-საშუამავლო კოოპერატივები;

— ფართოდ მიიზიდოს საკოლმეურნეო ბაზრების, იქ საფირმო მაღაზიების ასაშენებლად კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, აგროფირმები, აგროგაერთიანებები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ამასთან მიიჩნიოს ეს ქალაქებში სავაჭრო ქსელის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეზერვად;

— გამოიყენოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში მომავალი ანგარიშგება-არჩევნები საკადრო შემადგენლობის განსამტკიცებლად. მართვისა და კონტროლის ორგანოებში არჩევა უნდა მიმდინარეობდეს სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონის შესაბამისად, შეჯიბრებითობის, საკონკურსო შერჩევის, კანდიდატურების განხილვის საჯაროობის, არჩევნების დემოკრატიულობის საფუძველზე.

3. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარების, თითოეულ ქალაქსა და რაიონში ეკონომიკური საწარმოებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მოქმედი ნორმატივის მიღწევის მიზნით რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ ღონისძიებანი მაცივრების, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ქსელის გასაფართოებლად ახალი მშენებლობის, ადმინისტრაციული და სხვა სამსახურების მიერ დაკავებული პირველი სართულის სადგომების (განსაკუთრებით ქალაქების ცენტრებში), აგრეთვე გათავისუფლებული სადგომების გადაცემის ხარჯზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უზრუნველყონ 1989—1993 წლებში გამანაწილებელი მაცივრების, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ზრდა, № 1-9 დანართების თანახმად.

4. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

— გამოიყენონ შრომითი კოლექტივების თანხმობით სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრები მათი საქმიანობის ზონებში და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ ადგილებში განლაგებული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის:

— უწყებებთან, სამრეწველო საწარმოებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ მოსახლეობის მომსახურებისათვის დახურული ქსელის საზოგადოებრივი კვების ობიექტების მაქსიმალური გამოყენების ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ ვაჭრობის მუშაკთა შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ყოველმხრივ და საგნობრივად უჩვენონ მოწინავე კოლექტივთა, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა, შრომის ნოვატორთა, დარგის საუკეთესო მუშაკთა მუშაობის გამოცდილება, აამაღლონ პროფესიის პრესტიჟულობა.

6. ნება დაერთოს, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაჩქარების მიზნით განახორციელოს 1988—1992 წლებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობა სამუშაო ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, იმ პირობით, თუ არსებობს დამტკიცებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ან ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება, და გადასცეს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს სამუშაოთა წლიური მოცულობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დასაგეგმი წლის წინა წლის 1 სექტემბრამდე.

7. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრომ, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ-მინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა:

— საქონელმოძრაობის პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის კანონმდებლობის დაცვის, ვაჭრობაში მომუშავე ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ სასურსათო საქონლის (ფქვილის, ბურღულის, მაკარონის ნაწარმის, საბაყლო საქონლის, თევზისა და სხვა საქონლის) მიწოდება 15-30 კილოგრამამდე წონის ტარით;

— მიიღონ ჯეროვანი ზომები სახალხო მოხმარების საქონლის დაფასოების დავალებათა შესრულებაში დაშვებული ჩამორჩენის შესავსებად.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 აგვისტოს № 971 დადგენილებით:

— სსრ კავშირის საფირმო მაღაზიების მქონე სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ დავალება მნიშვნელოვნად გააფართოონ საფირმო სავაჭრო საწარმოების ქსელი, ამასთან მხედველობაში იქონიონ მათი რაოდენობის გადიდება 2-ჯერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 აპრილის № 451 დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებებთან შედარებით;

— ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის პასუხისმგებელ მთავარ სამინისტროებსა და უწყებებს ევალებათ განახორციელონ, მოყოლებული 1990 წლიდან, მანქანებისა და მოწყობილობის კომპლექსური მიწოდება, მათი საფირმო მომსახურება და რემონტი;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომისიას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროსთან და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ევალებათ, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განვითარებისათვის ამ დადგენილებით დაწესებული ამოცანებიდან გამომდინარე, სამი თვის ვადაში შეიმუშაოს წინადადებანი 1989—1995 წლების კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებული მოცულობის გადამეტებით სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოების დამატებითი გადიდების შესახებ;

— მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ნება დაერთოთ დახარჯონ, მოყოლებული 1989 წლიდან, როგორც საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში, ისევე ცალკე მდგარ შენობებში განლაგებულ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ასაშენებლად იმ კაპიტალურ დაბანდებათა 7 პროცენტამდე, რაც გამოეყოფათ მათ საბინაო მშენებლობისათვის.

შესაძლებლობის კვალობაზე იჯარით გადასცენ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ქალაქებში სასაწყობო და სავაჭრო სადგომები, აგრეთვე სამაცივრო ტევადობანი შეთანხმებულ ფასებში შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობის გასაფართოებლად;

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს“, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით დაევალათ შეიმუშაონ მეცამეტე ხუთწლედისათვის საერთო-სასაქონლო საწყობების, გამანაწილებელი მაცივრების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავების დაჩქარებული განვითარების პროგრამა, იმ ვარაუდით, რომ მათი ტევადობა გაიზარდოს მოქმედ ნორმატივებამდე.

დააწესონ პრიორიტეტული წესით საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები საერთო-სასაქონლო საწყობების, გამანაწილებელი მაცივრების, მზაობის მაღალი დონის ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების, ნაყინის ფაბრიკების, ხე-ტყის სავაჭრო ბაზების, უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიების, უნივერმაღებისა და სავაჭრო ცენტრების, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა შესასრულებლად.

სავაჭრო-სასაწყობო ქსელის ობიექტების მშენებლობის ვადების შემცირებისათვის ფართოდ გამოიყენონ მსუბუქი ლითონის კონსტრუქციები. საბითუმო ვაჭრობაში შექმნან მაღალმექანიზებული საწყობები და მაცივრები პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებით. საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში გაითვალისწინონ თანამედროვე სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის გამოყენება. განავითარონ სავაჭრო ტექნიკის, რეკლამის საშუალებების, აგრეთვე საკუთარი სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების მონტაჟის, რემონტისა და დამზადების მატერიალური ბაზა;

— სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს რჩევა მიეცათ განავითარონ ფართო ქსელი ყველა საოლქო, აგრეთვე რაიონულ ცენტრში, მათ შორის ადმინისტრაციული დაყოფით ქალაქებისათვის მიკუთვნებულ ცენტრებში. მნიშვნელოვნად გაადიდონ ქალაქებში სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა შეთანხმებულ ფასებში სასურსათო საქონლის გასაყიდად;

— ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს (გაერთიანებებს) და ორგანიზაციებს ნება დაერთოთ დადგენილი წესით შექმნილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში შემოიღონ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მზადყოფნის კვალობაზე მუშაკთა ახალი გადიდებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები;

— სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით დაევალა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების (გაერთიანებების) და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა;

— ყურადღება დაეთმო პრემიის მასტიმულირებელი როლის ამაღლებას, რომ ის სრულად შეესაბამებოდეს შრომითი კოლექტივების საქმიანობის საბ-

ლოო შედეგებსა და სავაჭრო საწარმოს (გაერთიანების) და ორგანიზაციის თითოეული მუშაკის პირად წვლილს; პრემიის უშუალო კავშირში ანაზღაურებულ-ყოფას მოსახლეობის მომსახურების ხარისხთან, საქონლის დადგენილი საასორტიმენტო ნუსხისა და ვაჭრობის წესების დაცვასთან, საქონელბრუნვის ზრდასთან და საწარმოთა შემოსავლიანობის გადიდებასთან, აგრეთვე იმას, რომ ერთი მუშაკისათვის მისაცემი პრემიის ოდენობა მაქსიმალური ოდენობით არ იზღუდება;

— ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით დაუწესონ მუშაკებს დანამატები ღამით მუშაობისათვის შრომის ანაზღაურების ფონდის ხარჯზე და ფარგლებში სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 30 პროცენტის ოდენობით;

— ნებადართულია ვაჭრობის საწარმოებში (გაერთიანებებში) სამუშაოდ პენსიონერთა გამოყენება იმ ვარაუდით, რომ მათ მუშაობის პერიოდში მიეცეთ პენსია 100 პროცენტის ოდენობით, მათ მიერ მიღებული ხელფასის მიუხედავად, შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;

— სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს უფლება მიეცათ განსაზღვრონ თავიანთი მუშაკებისათვის სატარიფო განაკვეთების, თანამდებობრივი სარგოების, დანამატების, სართებისა და პრემიების ოდენობა დაწესებული ნორმატივების მიხედვით შექმნილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებების შესაბამისად.

9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1989 წლის 1 აპრილამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 12 ოქტომბერი, № 473

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 1

საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობაში მაღაზიების ქსელის რეკომენდებული ზრდა

(სავაჭრო ფართობი —
ათასი კვადრატული მეტრი)

	1989—1992 წლები	მათ შორის:			
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.
სულ	60,0	14,0	17,0	14,0	15,0
მათ შორის:					
აფხაზეთის ასსრ	8,0	2	2	2	2
აჭარის ასსრ	6,0	1	2	1	2
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	1,0	—	0,5	—	0,5
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	25,0	6,0	7,0	6,0	6,0
ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	4,0	1,0	1,0	1,0	1.0
რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	5,0	1,0	2,0	1,0	1,0
გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	1,0	0,5	—	0,5	—
საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი	10	2,5	2,5	2,5	2,5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 2

ცეკავშირის სისტემაში მაღაზიების ქსელის რეკომენდებული ზრდა

(სავაჭრო ფართობი — ათასი კვადრატული მეტრი)

	1989—1990 წლები	მათ შორის:	
		1989 წ.	1990 წ.
სულ	20	9,5	10,5
მათ შორის:			
აფხაზეთის ასსრ	2,5	1,2	1,3
აჭარის ასსრ	2,1	1,0	1,1
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	0,6	0,2	0,4
რესპუბლიკის დანარჩენი რეგიონები	14,8	7,1	7,7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 3

1989—1990 წლებში რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების სამრეწველო საწარმოებში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის რეკომენდებული ზრდა

(ათასი ადგილი)

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	1989—1990 წლებში ზრდა	მათ შორის:	
		1989 წ.	1990 წ.
რესპუბლიკური სამინისტროები — სულ	2,5	1,25	1,25
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	1,2	0,6	0,6
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო	0,2	0,1	0,1
საქართველოს სსრ საბინაო--კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	0,2	0,1	0,1
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	0,1	0,05	0,05
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	0,8	0,4	0,4
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	0, 2	0,1	0,1
საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები — სულ	12,0	4,55	7,45
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	0,5	0.2	0,3
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	0,2	0,1	0,1
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	0,1	0,05	0,05
საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი	10,6	4,0	6,6
საქართველოს სსრ გამსახკომი	0,3	0,1	0,2
საქართველოს სსრ სახკინო	0,3	0,1	0,2
სულ	14,7	5,9	8,8

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 4

1989—1991 წლებში უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან არსებული საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის რეკომენდებული ზრდა

(ათასი ადგილი)

	1989—1991 წლები — სულ	მათ შორის:		
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.
უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული საზოგადოებრივი კვების საწარმოები — სულ	4,2	1,2	1,3	1,7
მათ შორის:				
სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციათა საქმიანობის ზონაში	4,2	1,2	1,3	1,7
საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან არსებული საზოგადოებრივი კვების საწარმოები — სულ	1,0	0,5	0,5	—
მათ შორის:				
სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციათა საქმიანობის ზონაში	0,8	0,4	0,4	—
სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საქმიანობის ზონაში	0,2	0,1	0,1	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 5

1989—1993 წლებში საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის რეკომენდებული ზრდა

(ათასი ადგილი)

	1989 – 1993 წლები—სულ	მათ შორის:				
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.
სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციათა საქმიანობის ზონაში	141,0	20,0	20.0	30,0	31,0	40,0
სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საქმიანობის ზონაში	78.2	15,0	15,0	15,0	16,5	16,7
სულ	219,2	35,0	35,0	45,0	47,5	56,7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 1

1989—1992 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობაში საზოგადოებრივი კვების საერთო სარგებლობის საწარმოთა ქსელის რეკომენდებული ზრდა

(ათასი ადგილი)

	1989—1992 წლებში—სულ	მათ შორის:			
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.
სულ	8,6	2,0	2,1	2,2	2,3
მათ შორის:					
აფხაზეთის ასსრ	2,0	0,5	0,5	0,5	0,5
აჭარის ასსრ	1,0	0,3	0,3	0,2	0,2
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	4,0	0,9	0,9	1,1	1,1
ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	1,0	0,2	0,25	0,25	0,3
რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	0,1	—	0,05	0,05	—
გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	0,25	0,25	0,05	0,05	0,1
ბორჯომის რაიაღმასკომი	0,15	0,05	0,05	—	0,05
წყალტუბოს საქალაქო საბჭოს აღმასკომი	0,1	—	—	0,05	0,05

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 1

ცეკავშირის სისტემაში საზოგადოებრივი კვების საერთო სარგებლობის საწარმოთა ქსელის რეკომენდებული ზრდა

(ათასი ადგილი)

	1989 – 1992 წწ. – სულ	მათ შორის:			
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.
სულ	11,5	2,8	2,9	3,0	2,8
მათ შორის:					
აფხაზეთის ასსრ	1,5	0,3	0,3	0,4	0,5
აჭარის ასსრ	1,1	0,2	0,2	0,3	0,4
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	0,6	0,1	0,1	0,2	0,2
რესპუბლიკის დანარჩენი რეგიონები	8,3	2,2	2,3	2,1	1,7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბვავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 2

1989—1995 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების სწრაფი მომსახურების საწარმოთა ასაშენებლად მსუბუქი ლითონისა და ხის კონსტრუქციების ასაწყობი შენობების განაწილება

(კომპლექტი)

	1989—1995 წლები—სულ	მათ შორის:						
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.
საქართველოს სსრ — სულ	170	20	10	20	30	30	30	30
მათ შორის:								
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო	41	7	2	4	7	7	7	7
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო	17	3	1	1	3	3	3	3
სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომი	3	—	1	—	1	—	1	—
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	39	4	3	4	6	7	8	7
ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	13	1	1	1	3	2	3	2
რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	13	1	1	1	2	3	2	3
ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	3	—	—	1	—	1	1	—
ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	4	—	—	1	—	1	1	1
მახარაძის რაიაღმასკომი	3	1	—	—	1	—	1	—
ცხაკაიას რაიაღმასკომი	3	—	—	1	1	—	—	1
ზესტაფონის რაიაღმასკომი	3	—	—	1	1	—	1	—
სამტრედიის რაიაღმასკომი	3	—	—	1	—	1	—	1
ხაშურის რაიაღმასკომი	4	—	—	1	1	1	—	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

	1989 – 1995 წწ. – სულ	მათ შორის:						
		1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.
ახალციხის რაიაღმასკომი	2	—	—	1	—	1	—	—
გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	3	—	1	—	1	—	1	—
თელავის რაიაღმასკომი	4	1	—	—	1	1	—	1
ბორჯომის რაიაღმასკომი	7	1	—	1	1	1	1	2
წყალტუბოს საქალაქო საბჭოს აღმასკომი	5	1	—	1	1	1	—	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ოქტომბრის № 473
დადგენილების დანართი № 9

ნუსხა

ქალაქებისა, სადაც გადაეცემა საექსპლუატაციოდ გამანაწილებელი მაცივრები 1989—1990 წლებში

	ასამოქმედებელი სიმძლავრე (ათასი ტონა)	ამოქმედების ვადა	საიჯარო ორგანიზაცია	შემკვეთი
ქ. თბილისი, მაცივარი ხორცპროდუქტებისათვის	1,1	1989 წელი	საქართველოს სსრ მშენელობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო
ქ. სოხუმი	10	1990 წელი	საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო
ქ. ბათუმი	5	1990 წელი	საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

107 დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონთან დაკავშირებით, „დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 3 აგვისტოს № 963 დადგენილების შესაბამისად და კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 მარტის № 165 დადგენილება „1961—1965 წლებში ცემენტის მრეწველობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“;

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ძირითადი მიმართულებებისა და 1981—1985 წლებსა და 1990 წლამდე პერიოდში მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 ნოემბრის № 793 დადგენილების მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეექვსე აბზაცი;

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 31 მარტის № 203 დადგენილების მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი; აგრეთვე ამ დადგენილების მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი იმ ნაწილში, რომელიც ეხება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმო-ორგანიზაციებს.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 3 აგვისტოს № 953 დადგენილებით ძალადაკარგულად არის მიჩნეული:

„განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და უშუალოდ მოსახლეობის მომსახურე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 იმ დადგენილების მე-12 პუნქტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აგვისტოს № 549 დადგენილებით დაიგზავნა;

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 იანვრის № 57 დადგენილება „მშენებლობის მართვის ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 აპრილის № 266 დადგენილებით დაიგზავნა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 14 ოქტომბერი, № 475

108 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აგვისტოს № 378, 1988 წლის 7 სექტემბრის № 413 და 416 დადგენილებების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ უწყება-სამინისტროებს დაუწესდათ პრემირებისა და მატერიალური დახმარების გაწევის სახსრების გადიდებული ოდენობა შესაბამისად ხელფასის ფონდის 10 და 2,5 პროცენტის ოდენობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილებანი შრომის ანაზღაურების წლიურ ფონდში და:

— „პურპროდუქტების დარგის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 7 სექტემბრის № 416 დადგენილების მე-2 პუნქტის მესამე აბზაცში 458,4 ათასი მანეთის ნაცვლად იკითხებოდეს 493,7 ათასი მანეთი;

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის დარგის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აგვისტოს № 378 დადგენილების მე-2 პუნქტის პირველ აბზაცში 243,3 ათასი მანეთის ნაცვლად იკითხებოდეს 263,6 ათასი მანეთი;

— „საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 7 სექტემბრის № 413 დადგენილების მე-3 პუნქტის მესამე აბზაცში 188,9 ათასი მანეთის ნაცვლად იკითხებოდეს 198,3 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 14 ოქტომბერი, № 476

109 სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების მექანიზმის დასახვეწად ეკონომიკური ექსპერიმენტის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის, სოციალური და კულტურული განვითარებისა და ბუნების დაცვის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დამოუკიდებლობის გასაფართოებლად და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საფინანსო ბაზის განმტკიცებას შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით. ეს შესაძლებელს გახდის არსებითად გაძლიერდეს ადგილობრივი ბიუჯეტების როლი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხის გადაწყვეტაში და უზრუნველყოფილ იქნეს კონფერენციის იმ პრინციპულ დებულებათა რეალიზაცია, რომლებიც ეხება რეგიონების გადასვლას თვითდაფინანსების პირობებში მუშაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს ეკონომიკური ექსპერიმენტი ნორმატიულ საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების ფორმირების ახალი პრინციპების დასახვეწად, რათა მეცამეტე ხუთწლედისათვის ჩამოყალიბდეს ტერიტორიების, დარგებისა და საწარმოების საფინანსო ურთიერთდამოკიდებულების მწყობრი სისტემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს 1989—1990 წლებში ეკონომიკური ექსპერიმენტი სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების მექანიზმის დასახვეწად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მოაწყოს მუშაობა ექსპერიმენტის წესით სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების შესადგენად 1989—1990 წლებისათვის.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ორგანიზაცია გაუწიონ 1989—1990 წლებში მათს შემადგენლობაში შემავალი ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებას, ამასთან გაითვალისწინონ ამ დადგენილების მოთხოვნები.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების 1-ელ პუნქტში აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეტების ფორმირება სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ფარგლებში უნდა ემყარებოდეს:

საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების ოპტიმალურ შეხამებას შესაბამის ტერიტორიაზე შექმნილი საფინანსო რესურსების დანაწილებაში, ყოველი რეგიონის წვლილის ზრდას ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდის ფორმირებაში;

ერთიან საბიუჯეტო სისტემაში სახალხო დეპუტატთა ყოველი საბჭოს მიერ თავისი ბიუჯეტის დამოუკიდებელ ფორმირებას, სტაბილური საფინანსო ნორმებისა და ნორმატივების სისტემის ფართო გამოყენებას სახალხო დეპუტატთა საბჭოების ბიუჯეტების შემოსავალ-გასავლის ფორმირებისას;

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დამოუკიდებლობის გაფართოებას საფინანსო რესურსების ფორმირებასა და გამოყენებაში, ცალკეული რეგიონების სოციალური განვითარებისათვის მოსახმარ საფინანსო რესურსებსა და შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს შორის დამოკიდებულების გაძლიერებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

3. დაწესდეს, რომ ექსპერიმენტის პირობებში ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირებისათვის გამოიყენება:

სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების (შემოსავლის) გადასახდელები, ადგილობრივი გადასახადი და მოსაკრებელი, სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ ბიუჯეტებზე მიმაგრებული სხვა შემოსავალი;

ბრუნვის გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში დამატებითი ანარიცხები სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიმართ ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით);

ანარიცხები სტაბილური ნორმატივების მიხედვით საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადისაგან და 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციათა რეალიზაციისაგან.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განსაზღვრონ სახელმწიფო გადასახადისა და შემოსავლის ნუსხა, რომელთაგანაც წარმოებს ანარიცხები ქვემდგომ ბიუჯეტებში ერთიანი ნორმატივის მიხედვით, ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

4. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საკავშირო დაქვემდებარების (თავდაცვითი მრეწველობის გარდა) საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხების სტაბილური ნორმატივი საანგარიშო მოგებიდან (შემოსავლიდან) გათვალისწინებულია 10 პროცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტამდე ოდენობით და შრომითი რესურსების გადასახდელისაგან — 50 პროცენტამდე ოდენობით.

5. დამტკიცდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხების სტაბილური ნორმატივები შრომითი რესურსების გადასახდელისაგან 50 პროცენტის ოდენობით და საანგარიშო მოგების (შემოსავლის) გადასახდელებისაგან 10 პროცენტის ოდენობით რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახდელთა საერთო თანხის მიმართ.

ამასთან საწარმოო გაერთიანებების და საწარმოების ფილიალთა შრომითი რესურსების გადასახდელი გადაირიცხება იმ ქალაქის (რაიონის) ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში, რომლის ტერიტორიაზეც არის ეს ფილიალი.

6. დაწესდეს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადებისაგან, 1982 წლის შინაგანი მომგებიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების რეალიზაციისაგან, აგრეთვე ბრუნვის გადასახადისაგან ანარიცხების ნორმატივები ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიმართ 1989—1990 წლებისათვის, დანართის თანახმად.

7. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მიეცეთ უფლება განსაზღვრონ მათს ტერიტორიაზე მდებარე და მოცემული საბჭოსადმი ზემდგომი დაქვემდებარების თითოეული საწარმო-გაერთიანებისათვის კონკრეტული ბიუჯეტი (რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული), რომელშიც ჩაირიცხება შრომითი რესურსების გადასახდელისა და ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა საანგარიშო მოგების (შემოსავლის) გადასახდელების ანარიცხები.

8. დაწესდეს, რომ რეგიონების ტერიტორიაზე საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დაფინანსების საბიუჯეტო ხარჯები გაიღება, როგორც წესი, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების ბიუჯეტების ხარჯზე.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ბიუჯეტის სახსრები არ არის საკმარისი, ამ შემოსავლის ნაწილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დროებით დაფინანსდეს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადაცემული სახსრების ხარჯზე.

პირუტყვისა და რძის ფასების სხვაობის გადასახდელად, პენსიების გასაცემად, რაც სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, აგრეთვე რესპუბლიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასარემონტებლად და შესანახად საჭირო ხარჯებისა და სხვა ანალოგიური ხარჯების დაფინანსება ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილებისა და საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარებისათვის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ შესაბამის უწყება-სამინისტროებთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ გაერთიანებებისა და საწარმო-ორგანიზაციების ნუსხა, რომელთა პროდუქციაც უშუალოდ გამოიყენება 1989 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივ დაქვემდებარებაში გადასაცემი ამ ტერიტორიების მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

10. დაწესდეს, რომ:

ა) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საკონტროლო ციფრების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მაჩვენებლების, დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებისა და საფინანსო ნორმების, ლიმიტების საფუძველზე დამოუკიდებლად შეიმუშავებენ კალენდარული წლის შესაბამისი ბიუჯეტების პროექტებს. სახალხო მეურნეობის განვითარების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენახვა-განვითარების ხარჯები გათვალისწინებულ იქნება მიღებული შემოსავლის ფარგლებში;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, რესპუბლიკის უწყება-სამინისტროებმა უზრუნველყონ საკონტროლო ციფრების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მაჩვენებლების, ლიმიტების, სტაბილური ეკონომიკური ნორმატივებისა და საფინანსო ნორმების წინასწარ დაგზავნა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისათვის.

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს გასწიონ მოსამზადებელი მუშაობა, რათა შეადგინონ საქალაქო (რაიონული დაქვემდებარებისა), სასოფლო და სადაბო ბიუჯეტები, 1991 წლიდან მოყოლებული, სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე და ამ დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის. ადგილობრივ ბიუჯეტებს ამტკიცებენ შესაბამისი საბჭოების სესიები 25 დღით ადრე, ხოლო დანარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა) და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებს 30 დღით ადრე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებამდე.

აღნიშნული დამტკიცებული ბიუჯეტები ხუთი დღის ვადაში წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შემდგომი შეტანისათვის;

გ) საბიუჯეტო გადასახდელებისა და ბიუჯეტის ასიგნებების გეგმებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ზოგადი თანხებით აცნობს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და შეაქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში დადგენილი წესით;

დ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს აკისრიათ სრული პასუხისმგებლობა შესაბამისი ტერიტორიების ბიუჯეტების შეწონასწორებული შედგენა-შესრულებისა და ზემდგომი ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილის ფორმირებაში მონაწილეობის ვალდებულებათა შესრულებისათვის, უზრუნველყოფენ მათს განკარგულებაში არსებული ფინანსური სახსრების გამოყენების მაღალ ეფექტიანობას.

იმ მიზნით, რომ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ეკონომიკურად იყვნენ დაინტერესებულნი ყველა საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის გადიდებით, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და ტერიტორიაზე საფინანსო რესურსების ზრდით, დაწესდეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემოსული დამატებითი შემოსავალი მთლიანად რჩება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში, რომლებიც ამ სახსრებს მოახმარენ შესაბამის ტერიტორიათა საწარმოო და სოციალური განვითარების ღონისძიებებს.

საწარმო-გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებით გამოწვეული ბიუჯეტის შემოსავლის დანაკარგების კომპენსაცია არ ხდება ზემდგომი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

11. სახალხო დეპუტატთა საბჭოების ბიუჯეტების შემოსავლის ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების მიზნით:

— ნება დაერთოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შექმნან ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფულადი სახსრების არასაბიუჯეტო ფონდი და გახსნან ამ ფონდისათვის სპეციალური ანგარიში ბანკის დაწესებულებაში;

— რჩევა მიეცეთ ჩარიცხონ აღნიშნულ ფონდში სახდაზღვევის ორგანოების ანარიცხები გამაფრთხილებელი ღონისძიებებისათვის, საწარმოთა სახსრები, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები გადასცემენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის № 876 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ გაერთიანებული საწარმოების ფონდების ნაწილი შრომითი კოლექტივების თანხმობით სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის, აგრეთვე სხვა არასაბიუჯეტო შემოსულობანი.

12. დაწესდეს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში გადაირიცხება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციებისათვის გადახდევინებული თანხების ორმოცდაათი პროცენტი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განზრახ დამალავენ ან შეამცირებენ შემოსავალს წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებზე მათთან დაუკავშირებელი დანახარჯების მიკუთვნების შედეგად.

13. საწარმოო სიმძლავრეებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის პროპორციული განვითარების მიზნით დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ახალი საწარმოო მშენებლობისა და მოქმედ გაერთიანებებსა და საწარმოებში მუშაკთა რიცხოვნობის გადიდებისას იმავდროულად გაითვალისწინონ საცხოვრებელი სახლების, სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებების, არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობა მომუშავეთა რიცხვის დასაგეგმავი ზრდის პროპორციულად.

14. საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლისა და გადასახადებისა და სხვა მაჩვენებლებისაგან ანარიცხების სტაბილური ნორმატივების ოდენობის დამტკიცების შემდეგ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა მიღების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისად მატულობს რეგიონების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების გასავალი ან კლებულობს შემოსავალი, ამ ბიუჯეტებს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში უნაზღაურდებათ სახსრები საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან; ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების გასავლის შემცირების ან შემოსავლის გადიდების შემთხვევაში შესაბამისი თანხები გადაიცემა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

15. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში დარჩეს სარეზერვო ფონდები, ხოლო სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, თბილისის, ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში — გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდები შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯების საერთო თანხის ერთი პროცენტის ოდენობით გაუთვალისწინებელი ხარჯების, აგრეთვე იმ დამატებითი მაღალეფექტიანი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში წარმოიშვება.

16. წარდგენილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადების, აგრეთვე ბრუნვის გადასახადის ანარიცხების ნორმატივები სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელ-ბრუნვის მოცულობის ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) 1989—1990 წლებისათვის.

17. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების პროექტი „1989—1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 18 ოქტომბერი, № 477

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 18 ოქტომბრის № 477 დადგენილების დანართი

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადების, 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიმართ ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) ბრუნვის გადასახადის 1989-1990 წლების ანარიცხების

ნ ო რ მ ა ტ ი ვ ე ბ ი

(პროცენტობით კონტინგენტისადმი ტერიტორიის მიხედვით)

ბიუჯეტის დასახელება	1989-1990 წლების ანარიცხების ნორმატივები				
	ბრუნვის გადასახადისა	მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადისა	1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციისა	სახელმწიფო კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობისა	
				1989 წლისათვის	1990 წლისათვის
აფხაზეთის ასსრ	35	35	10	1,6	1,5
აჭარის ასსრ	35	35	10	5,7	4,9
სამხრეთ ოსეთის ა/ო	35	35	10	20,1	20,2
ქ. თბილისი	15	15	10	1,0	1,8
ქ. ქუთაისი	15	15	10	4,5	4,9
ქ. ფოთი	35	35	10	10,2	9,5
ქ. ჭიათურა	35	35	10	15,3	16,2
ქ. რუსთავი	35	35	10	8,8	7,5
ქ. გორი	5	5	10	4,5	5,1
ქ. ტყიბული	35	35	10	10,2	11,1
ქ. ზუგდიდი	15	15	10	0,9	—
ქ. წყალტუბო	35	35	10	1,4	1,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტის დასახელება	1989-1990 წლების ანარიცხების ნორმატივები				
	ბრუნვის გადასახადისა	მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადისა	1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციისა	სახელმწიფო კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობისა	
				1989 წლისათვის	1990 წლისათვის
ქ. მარნეული	15	15	10	2,2	3,5
აბაშის რაიონი	35	35	10	18.3	19,1
ადიგენის რაიონი	35	35	10	20,4	20,9
ამბროლაურის რაიონი	35	35	10	21,1	21,4
ასპინძის რაიონი	35	35	10	30,5	31,5
ახალქალაქის რაიონი	35	35	10	12,7	12,9
ახალციხის რაიონი	35	35	10	7,8	7,9
ახმეტის რაიონი	35	35	10	14,1	14,8
ბოგდანოვკის რაიონი	35	35	10	13,4	13,7
ბოლნისის რაიონი	35	35	10	11,6	12,6
ბორჯომის რაიონი	5	5	10	7,4	6,2
ვანის რაიონი	35	35	10	17,3	17,8
გარდაბნის რაიონი	15	15	10	3,5	3,5
გეგეჭკორის რაიონი	35	35	10	13,8	12,9
გორის რაიონი	35	35	10	6,5	6,4
გურჯაანის რაიონი	35	35	10	5,6	5,9
დმანისის რაიონი	35	35	10	23,7	22,8
დუშეთის რაიონი	35	35	10	10,8	10,8
ზესტაფონის რაიონი	35	35	10	3,2	3,3
ზუგდიდის რაიონი	5	5	10	7,6	6,5
ყაზბეგის რაიონი	—	35	10	21,6	22,0
ქარელის რაიონი	35	35	10	14,4	15,5
კასპის რაიონი	35	35	10	4,4	5,9
ყვარლის რაიონი	—	35	10	11,3	11, 6

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲜᲐᲠᲘᲒᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბიუჯეტის დასახელება	1989-1990 წლების ანარიცხების ნორმატივები				
	ბრუნვის გადასახადისა	მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადისა	1982 წლის სახელმწიფო ნინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების	სახელმწიფო კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობისა	
				1989 წლისათვის	1990 წლისათვის
ლაგოდეხის რაიონი	35	35	10	4,8	5,0
ლანჩხუთის რაიონი	35	35	10	5,4	2,6
ლენტეხის რაიონი	—	35	10	50,2	51,8
მარნეულის რაიონი	35	35	10	7,2	7,5
მახარაძის რაიონი	15	15	10	1,4	0,5
მაიაკოვსკის რაიონი	35	35	10	16,5	17,0
მესტიის რაიონი.	—	35	10	48,5	49,6
მცხეთის რაიონი	35	35	10	0,6	0,5
ონის რაიონი	35	35	10	24,5	24,7
ორჯონიკიძის რაიონი	35	35	10	24,7	25,5
საგარეჯოს რაიონი	35	35	10	6,2	6,6
სამტრედიის რაიონი	5	5	10	3,6	3,2
საჩხერის რაიონი	35	35	10	16,9	17,2
სიღნაღის რაიონი	35	35	10	5,7	6,1
თელავის რაიონი	35	35	10	4,0	4,8
თერჯოლის რაიონი	5	5	10	8,3	9,0
თეთრი წყაროს რაიონი	35	35	10	7,8	7,7
თიანეთის რაიონი	35	35	10	31,4	32,8
ხაშურის რაიონი	5	5	10	3,6	3,9
ხობის რაიონი	35	35	10	9,6	6,6
ცაგერის რაიონი	—	35	10	28,0	28,3
წალენჯიხის რაიონი	35	35	10	6,0	4,4
წალკის რაიონი	35	35	10	18,6	18,8
წითელწყაროს რაიონი	35	35	10	8,2	8,7

ბიუჯეტის დასახელება	1989-1990 წლების ანარიცხების ნორმატივები ერრეენულში				
	ბრუნვის გადასახადისა	მეწვა-მოსამსახურეთა სა-ზემოსავლო გადასახადისა	1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სეს-ხის ობლიგაციების რეგ-ლიზაციისა	სახელმწიფო კოოპერაციუ-ლი ვაჭრობის საცალო სა-ქონელბრუნვის მოცუ-ლობისა	
				1989 წლისა-თვის	1990 წლისა-თვის
წულუკიძის რაიონი	35	35	10	10,9	11,1
ცხაკაიას რაიონი	5	5	10	2,4	2,5
ჩოხატაურის რაიონი	35	35	10	14,2	14,6
ჩხოროწყუს რაიონი	35	35	10	13,6	10,6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

110 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ა. ყანჩაველის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, რესპუბლიკაში მცენარეთა დაცვის საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ლევან ალექსის ძე ყანჩაველის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიენიჭოს ლ. ა. ყანჩაველის სახელი:

— საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს;

— ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის საშუალო სკოლას.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ლ. ა. ყანჩაველი, გაუკეთოს მემორიალური დაფა.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა:

— მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შენობას გაუკეთოს ლ. ა. ყანჩაველის ბარელიეფი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 21 ოქტომბერი, № 480

111 ცხინვალის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებისათვის ბ. ა. გალაევის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საოლქო აღმასკომის თხოვნა და ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დააწესოს კომპოზიტორ ბორის ალექსანდრეს ძე გალაევის სახელობის ერთი სტიპენდია ცხინვალის სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტებისათვის აღნიშნული მიზნით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 25 ოქტომბერი, № 486

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5, 1988 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII-88 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 1055 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა